



დღე

№ 020
(12 090)

26 იანვარი პარასკევი 2007
გამომცემის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

● ფეხბურთი

ორი ტრანსფერის აგება

გოგუას საკითხი მხოლოდ რეინჯერსთან თავაზის ფაქტზე თუ გადაწყდება


აზვეთია სამუშაო ვიზის ასაღებად თბილისში დაბრუნდა, ლოგინაზა ახალი არაფერია

● კრივი

ნაკრების მთავარი მწვრთნელი შიცივალა

● კალათბურთი

დღეს საქართველოს თასის გათამაშება იწყება



კართველები NBA-ში

ჩვენნი პარტნიორია
CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK



მზად ხართ? ელენა დღეს იწყებს!

ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი
დავით ბუხრიკიძის წინააღმდეგ მი-16 გვერდზე

დღეს, ვარშავაში, ფიგურული ციგურაობის ევროპის ჩემპიონატზე 38 მონაწილე ქალს შორის 17 წლის ელენე გედევანიშვილიც ისრიალებს. მოკლე პროგრამა საქართველოს დროით 15 საათზე იწყება, თუმცა ელენეს გამოსვლას "ევროსპორტის" ეთერში საკმაო ხანს, საღამომდე უნდა ველოდოდო, რადგან გედევანიშვილი ბოლო ჯგუფში მოხვდა - 38 მონაწილეს შორის რიგით 34-ე გავა ყინულზე.

გედევანიშვილთან ერთად მერვე ჯგუფში იქნებიან უნგრელი ვიქტორია პავუკი, იტალიელი კაროლინა კოსტინერი, უნგრელი იულია შებეშტენი და

ხორვატი იდორა შვეგელი. ამ ჯგუფს სწორედ ელენე გახსნის.

ტურნირის უმთავრესი ფაქტორიტი, შვეიცარიელი სარა მაიერი წინა, მეშვიდე ჯგუფს დახურავს. მაიერს მართლაც კარგი სეზონი აქვს, მან კარიერაში პირველი გრან-პრი მოიგო (რუსეთში) და ფინალურ ეტაპზეც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შარშან ევროპის პირველობაზე მაიერი მეოთხე ადგილზე გავიდა და ელენეს ერთი ადგილით აჯობა. გამარჯვების სერიოზული კანდიდატები არიან 2004 წლის ევროპის ჩემპიონი იულია შებეშტენი და რუსი ელენა სოკოლოვა. ძნელია

კაროლინა კოსტინერის შანსებზე საუბარი, რადგან მას ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გაუცდა და არავინ იცის, როგორ ფორმაშია იტალიელი. მიმომხილველები გედევანიშვილსაც მიიჩნევენ გამარჯვების საეარაუდო კანდიდატად, თუმცა, კოსტინერისა არ იყოს, ჩვენს თანამემამულესაც მთლიანად ჩაუვარდა სეზონის დასაწყისი, თუმცა, ამ შემთხვევაში, ტრავმა არაფერ მუაშია - ელენე რუსეთის ემბარგო დაზარალა და არცერთ ტურნირში არ უსრიალია.

გედევანიშვილი სახელმწიფოს დახმარებით ამერიკაში გადავიდა მოსამზადებ-


ლად, სადაც მას უკრაინელი მწვრთნელი გალინა ზმიევსკაია ამეცადინებს. მწვრთნელსა და მონაწილეს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად სულ ოცი ოდუ დღე ჰქონდათ. შევახსენებთ, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართა, 16 წლის ელენემ ფურორი მოახდინა და მეხუთე ადგილი დაიკავა.

"ევროსპორტის" პროგრამაში ქალთა მოკლე პროგრამა 14:15-დან 20:00-მდეა დაგეგმილი. ქალთა ტურნირი ხვალ, თავისუფალი პროგრამით დასრულდება.

ნიკოლოზ ნაჭარიძე

რონალდო მილანშია

რონალდო მილანელია. გუშინ ბრაზილიელი იტალიაში ჩაფრინდა. საღამოს კი "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან ერთად „სან სიროზე“ „მილანი“-„რომას“ სათასო შეხვედრასაც დაესწრო. ესპანელ მიმომხილველთა ცნობით, „მილანი“ „რეალს“ 6 მილიონ ევროს გადაუხდის. ბრაზილიელი ვარსკვლავი 18-თვიან კონტრაქტზე მოანერს ხელს, რომელიც სურვილის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელდება. ამგვარად, რონალდო იმ ქალაქში ბრუნდება, სადაც ის 1997-2002 წლებში თამაშობდა, ოღონდ მოსისხლე „ინტერის“ შემადგენლობაში. ტრანსფერის სრულყოფის შემდეგ, პატრიკ ვიეირას, ედგარ დავიდის, ერნან კრესპოს, ტომას პელუვეის, დარიო შიმიჩის, კლარენს ზედორფის, ანდრეას გუ-



ლიელმინიპეტროს, ტარიბო ვესტისა და ვიქტორ ბენიტესის შემდეგ ის მეათე უცხოელი ფეხბურთელი გახდება, რომელსაც ორივე მილანურ გრანდში უთამაშია.

ესპანურმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ გალიანის მცირე კომენტარი ჩამოართვა: „პარასკევს, რონალდო მილანელოში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ხოლო ორშაბათს „რეა-

ლის“ წარმომადგენლებს უნდა შეხვედეთ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, იმავე დღეს რონალდო „მილანის“ ფეხბურთელი გახდება.“

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კობახია ყაზბეგი

საპარტიველოს ჩამკომონატი. მეორე წრის წინ

დინამო-ბაზაში 2:0

1:0 ალი ბაბაევძე (13 სკ. კარში), 2:0 ფეიქრიშვილი (19).
დინამო: ლორია, ნოზაძე, გ. კაშია, გიგაურ-რი, გარკუშა, ჯანაშია, დილმელაშვილი, მერეზაშვილი, კობახიძე (18. ჩირიკაშვილი), იაშვილი, ფეიქრიშვილი.
მეორე ტაიმში შევიდნენ: ხუციშვილი, ოდი-კაძე, დვალი, შ. კაშია, ხმალაძე, აკობია, გრი-შვილი, კაკალაძე, გუგავა.

სპუგარი გოლაზიტი გაუშვეს



მეორე გოლი გიორგი ფეიქრიშვილმა (ბურთით) გაიტანა ნუგზარ სურაიძის ფოტო

ანთაქანში, მორიგ მოსამზადებელ შეკრებაზე გამგზავრების წინ თბილისის "დინამო" საქართველოში მყოფ აზერბაიჯანულ "შაჰადგთან" ამხანაგური მატჩი გამართა. უშუალოდ კლუბების ხელმძღვანელთა გარდა, შეხვედრა უბრალო გულშემატკივრისთვისაც იყო საინტერესო. ბაკურიანსა და ანთაქანში შეკრებაზე გაწვეული "დინამოს" საქმეში ხილვა არაერთს სურდა. ასევე საინტერესო იყო "დინამოს" ახალწვეულთა თამაში. დავით დილმელაშვილს (რომელიც გუშინ გუნდს კაპიტნობდა) და გიორგი ფეიქრიშვილს საქართველოში კი იცნობენ, მაგრამ ბელარუს მცველ რომან გარკუშას - არა.
მატჩი "დინამოს" უპირატესობით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. უგრინის ბიჭები სწრაფი გოლებით დაწინაურდნენ. სტუმართათვის დანახული მე-13 და მე-19 წუთები აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში სანდრო იაშვილის მიერ საჯარიმოში ჩაქიდებული ბურთით მცველმა ალი ბაბაევმა საკუთარ კარში ჩაჭრა. 6 წუთში კი გიორგი ფეიქრიშვილმა გაიტანა, რომლის ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ გუშინ "დინამოში" არაოფიციალური ნათლობა ჰქონდა. მან

ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ეფექტური გოლით გაზარდა ანგარიში. პირველი ტაიმის დარჩენილი დრო და მეორე ნახევარიც დინამოელთა კარნახით წარმოებდა. მასპინძლებს ანგარიშის გაზრდაც არაერთხელ შეეძლოთ, მაგრამ არაფერი შეცვლილა.
რაც შეეხება ფეხბურთელებს. მარჯვენა მცველად ლამა ნოზაძე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. სანდრო კობახიძეს ნაადრევად მოუწია მოედნის დატოვება, რადგან დაზარდა, თუმცა, ითქვას, საგანგაშო არაფერი. მოედნის ცენტრში როგორც სწვევია დამაჯერებელი იყო დილმელაშვილი. მარჯვნიდან კი სახიფათო გარღვევებისა და ჩანოდეების ავტორად ხშირად გვევლინებოდა ფეიქრიშვილი. ბოლოსთვის რომან გარკუშაზეც თქვათ. ის ამჟამად მარცხენა მცველია და გიორგი ნავალოსკის "დინამოსთან" განმორების შემდეგ, დუშან უგრინს სწორედ ამ ადგილზე სჭირდება საიმედო ფეხბურთელი. მართალია, ერთი მატჩით ძნელია ფეხბურთელის შეფასება, მაგრამ თამაშად შეიძლება ითქვას, პირველადი შთაბეჭდილება დადებითია. რომან გარკუშა პოზიციურად კარგად თამაშობს, არც ბრძოლას ერიდება და პასიც იცის.
დაბოლოს, "დინამო" დღესაც ბაზაზე ივარჯიშებს. ხვალ კი სტამბოლის გავლით ანთაქანს გაფრინდება მორიგ შეკრებაზე. არაა გამორიცხული, გუნდთან ერთად გამგზავროს ირაკლი სირბილაძე, რომელიც ზამთრის პაუზისას „ტორპედოში“ ვარჯიშობდა.

ამერი

გამარჯვება და გზა ანთაქლისკენ

ამერი-მერანი 4:0

1:0 დოლიძე (42), 2:0 გაბისკირია (61), 3:0 დოლიძე (72), 4:0 დოლიძე (80).
ამერი: ქვანახია - დიდავა, დავითიძე, კაკაშვილი, ელბაძე - დოლიძე, მესხი, დეკანოსიძე, მჭედლიშვილი - დავითაშვილი, ჩინაკაძე.
შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაშვილი - ფირანიშვილი, გვაძაბია, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე - ჯელაძე (64. დოლიძე), დობროვოლსკი, ბოლქვაძე, ნიკოლაიშვილი, გაბისკირია - ნინამძღვრიშვილი.
მერანი: სეფიაშვილი - მჭედლიშვილი, გრიგალაშვილი, თურქია, ოსიტაშვილი - ბესარაშვილი, ფურთუხია, ჩაჩიბაია, ბურჯანაძე, გაგუა - სიხარულიძე.
შეცვლაზე შევიდნენ: გლუნჩაძე, ტომარაძე, უსენაშვილი, კობერიძე, ნუგარაძე, დევიძე, დეისაძე, ქემაშვილი, ზირაქიშვილი.
გაფრთხილება: ელბაძე (25), გაბისკირია (68), ტომარაძე (85).
მსაჯინი: ა. კრიჭაშვილი

სრულ მზადყოფნაში უახლოეს დღეებში იქნება.
ძირითადი გუნდის წევრთაგან, ანთაქანში დავით სევასტოპოლო არ მიჰყავთ, რომელიც ბოლო დროს არასახარბიელო ფორმაშია. იგი "ამერი 2-ის" რიგებში ვარჯიშობს და თუ ფორმა ვერ აღიდგინა, სეზონს იქვე ჩაატარებს. შეკრებაზე მიჰყავთ მეორე გუნდიდან გადმოყვანილი ახალგაზრდა, პერსპექტიული მცველი ირაკლი ფირანიშვილი. ცხადია, თურქულ კურორტზე გუნდის ახალწვეული მიხეილ მესხიც გაემგზავრება. საბოლოოდ ჯერ არ გადაწყვეტილა გასინჯვაზე მყოფი ლადო კაკაშვილის საკითხი, რომელსაც ანთაქანშიც დააკვირდებიან. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობა მას კონტრაქტს გაუფორმებს. გუშინდელმა თამაშმა იმგვარი შთაბეჭდილება შექმნა, რომ კაკაშვილს "ამერის" სტილთან შეგუება არ გასჭირდება. იგი დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტან გიორგი დავითიძეს შეუწყვილდა.
როგორც უკვე იცით, "ამერს" დაუბრუნდა გამოცდილი მეკარე რევაზ ნაჭყვიაძე, რომელიც მეორე გუნდში მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს. გუნდი დატოვა ვეტერანმა მცველმა ამირან კედელაშვილმა.
რაც შეეხება "მერანს", მის შემადგენლობასა და თამაშში ბევრი სახიფათო ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი სერგო კუტივაძე გასასინჯი ფეხბურთელების დონე ვერ დააკმაყოფილა და თუ უახლოეს პერიოდში არავინ დაიმტკიცა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტები სეზონის მეორე ნახევარს თითქმის უცვლელი კადრებით ჩაატარებენ.
გუნდის ახალწვეულთაგან გულშემატკივარი მხოლოდ ერთ მოთამაშეს იცნობს. ზაზა ზირაქიშვილი ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, მაგრამ ნესით, მალე უფრო შედეგიანად უნდა ათამაშდეს. კუტივაძეს სელექცია ჯერ არ დაუსრულებია და არაა გამორიცხული, "მერანი" ზირაქიშვილზე არანაკლებ კვალიფიციური ფეხბურთელებით გაძლიერდეს.
უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, როგორც განაცხადიდან ხედავთ, ორივე მწვრთნელმა მრავლად გააკეთა შეცვლები. გიორგი ჩინაძემ პირველი ტაიმის შემდეგ, თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ მალე გიორგი ჯელაძის დაშვების გამო, გრიგოლ დოლიძეს მოედანზე დაბრუნება მოუწია.
"მერანი" მეტოქეს მხოლოდ პირველ ნახევარში გაუძალიანდა, ძირითადი შემადგენლობის წევრთა მოედნიდან გასვლის შემდეგ კი უკვე უშანსოდ იყო. მონინალმდევისგან განსხვავებით, ჩინაძემ 22 კაცი ორ თანაბარძალოვან შემადგენლობად გაყო და ორივე თერთმეტეულმა დაკორებული მოვალეობას თავი პირნათლად გაართვა.
90 წუთის განმავლობაში "მერანს" მეტოქის კართან ერთი რეალური ხიფათიც კი არ შეუქმნია, მაშინ როცა "ამერმა" არაერთი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან. დოლიძეს, ჩინაძეს, მჭედლიშვილსა და ნინამძღვრიშვილს გატანა მართებდა, მაგრამ იმ ეპიზოდებში "მერანის" კარი ერთი შეხედვით გარდაუვალ გოლებს გადაურჩა.
ალსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში ამ გუნდებს შორის გამართული შეხვედრა ამერელებმა ანალოგიური ანგარიშით მოიგეს.
იური გაბისკირიამ პირველი ამერიული გოლი გაიტანა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი უდავოდ პეტითრიქოსანი გრიგოლ დოლიძე იყო.



რომან გარკუშა

**ინტერვიუ
რომან გარკუშასთან
ბელარუსი
დინამოს
შენაბრის**

შობდი და ქუთაისის "ტორპედოს" აქ 1:0 მოვუგეთ. საპასუხოდ შეხვედრაში კი ბორისოვში 5:0 გავიმარჯვეთ.
- აქ უკეთესი მდგომარეობაა თუ ბელარუსულ ფეხბურთში?
- თითქმის ერთი და იგივეა. ორივეს უჭირს, განსაკუთრებით ფინანსურად.
- ბუნებრივია, მთავარ მწვრთნელთან უკვე გქონდათ საუბარი. რა გითხრათ უგრინმა?
- გამორჩეული არაფერი. როგორც ვაჭყობ ჩემი უკმაყოფილო ნამდვილად არაა და ვნახოთ საბოლოოდ რა გამოვა. ჯერჯერობით ტესტირებაზე ვარ. ძალიან მინდა ისეთ დიდი ტრადიციებისა და წარსულის მქონე გუნდში ვითამაშო, როგორც თბილისის "დინამო". იმედია, ნაცვრა ამისდგება და ჩავირიცხები.
- გუნდს ანთაქანში მიჰყვები?
- ეს გადაჭრით ვერ კიდევ არ ვიცი. ხვალ მეცოდინდება.
- თუკი "დინამოსთან" თანხმობას მიიღებ, რა ხანგრძლივობის კონტრაქტს გააფორმებ?
- არც ვე ვიცი. დადებითი პასუხი მივიღე და ამაზეც შევთანხმდებით.
- თავისუფალი აგენტია ხარ?
- შეიძლება ითქვას, რომ ასეა.
- ეს როგორ გავიგოთ?
- მალე სწორედ ეს სტატუსი მექნება.
- რომელიმე ასაკის ნაკრებში თუ ვითამაშავ?
- 21 წლამდელებში ვითამაშე ორჯერ პოლონელებთან.
- დაბოლოს, შენი ასაკი ვერაფრით დაეადგინეთ. ვებგვერდებზე შენი ასაკის სამი ვარიანტი მოცემულია, 21 წლის ხარ, 22-ის თუ 25-ის?
- მოკლედ გეტყვი, 1984 წლის 2 ივნისს დავინახე.
დავით ცაბაძე



კობი პენალტებს აღარ დაარტყამს, მას რაფინია შეცვლის

შალკე

კობიაშვილს პენალტის დარტყმა აუკრძალეს

ბოხუშის რატომ ვერ გაუტანაო...

„შალკე“ მეორე ნრეს ფრანკფურტში, მე-10 ადგილზე მყოფ „აინტრახტთან“ მატჩით იწყებს. თუმცა გელზენკირხენული კლუბის ბოსები მხოლოდ ამ თამაშზე არ ფიქრობენ. გენერალური მენეჯერი ანდრეას მიულერი გვამბობს ანყოფს, რა უთხრას ჰაიკო ვეშტერმანს, რათა ამ უკანასკნელმა „არმინიონიდან“ „შალკეში“ გადასვლა გადაწყვიტოს. მოგეხსენებათ, „შალკე“ უკვე რამდენიმე დღეა, ბილფელდური კლუბის ამ მცველს ეპატივება. მიულერი არ მალავს, რომ ვეშტერმანის გადაბირება ძალიან უნდა. მეტიც, ის და მთავარი მწვრთნელი მიროსლოპო არმინიონის ამ დღეებში პირადად შეხვედებიან შეცდებიან გელზენკირხენში გადასვლაზე დაითანხმონ. ვეშტერმანი, სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მოითხოვს. ამის მიცემა კი, მიულერსა და სლოპოს, ნამდვილად გაუჭირდებათ, რადგან „შალკეს“ დაცვის ცენტრს მარსელო ბორდონი და მლადენ კრსტიანი შეადგენენ. აქედან ბორდონი ხელშეუხებელია და არც კრსტიანის ამოგდება იქნება იოლი.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვეშტერმანმა ეს ნაბიჯი გადადგას. ასეთი მცველი „შალკეს“ ძალიან სჭირდება. აი, ნახავთ, ჰაიკო სულ მალე გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდება. თამაშთან თამაშამდე უმა-

ტებს და იმიტომ,“ – ამბობს სლოპო. აქვე გეტყვით, რომ ვეშტერმანს „არმინიონთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს. „შალკეს“ გარდა, მას დორტმუნდის „ბორუსია“ და „შტუტგარტი“ ეპატივებიან.

შაბათის მატჩისთვის გელზენკირხენული გუნდის სასტარტო შემადგენლობაში 10 ადგილი დაკავებულია. ვაკანტურია მხოლოდ ერთი პოზიცია და ისიც იმის გამო, რომ უცნობია, რა ტაქტიკას აირჩევს სლოპო – 4-4-2-ს თუ 4-3-3-ს. პირველი სექემისთვის გუსტავო ვარელაა მზად, მეორისთვის კი პეტერ ლოვენკრანდსი. თუ სლოპო სამ ფორვარდს ათამაშებს, მაშინ ჰალილ ალითოფთან (მარჯვნივ) და კეინ კურანისთან (ცენტრში) ერთად, ლოვენკრანდსი გაირევა. და თუკი მიროსლოპო 4-4-2-ს აირჩევს, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ვარელას ვიზილავთ, რომელიც ფაბიან ერნსტის (საყრდენად), ლინკოლნისა (ფლეიმეიქერად) და ლევან კობიაშვილის (მარცხენა ნახევარმცველად) ტრიოს დაემატება.

ჰო, მართლა, ლინკოლნის სიტუაცია ასე თუ ისე გარკვეულია. მას მერე, რაც პირველი წრის ბოლოს, ორი ამპარზენი თამაშის შემდეგ, სლოპომ ის სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო და სკამზე დასვა, ბრაზილიელმა მოუმატა. მწვრთნელის თქმით, ლინკოლნი ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურე-

ბოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ისევე დაუბრუნდება მაღაროელთა სასტარტო თერთმეტულს. ერთი სიტყვით, 28 წლის ბრაზილიელი 21 ოქტომბრის შემდეგ პირველად ითამაშებს ძირითადში. მაგრამ ლინკოლნს ერთი რამ კატეგორიულად ეკრძალება: ეს არის თერთმეტმეტრიანების შესრულება!

„თუ ის კიდევ ერთხელ დაარტყამს პენალტს, გუნდიდან გავაგდებათ.“ – ნახევრად ხუმრობით ამბობს სლოპო. მიზეზი ის გახლავთ, რომ პირველ წრეში ლინკოლნმა ორჯერ ვერ გაიტანა პენალტი, აქედან, მეორე შემთხვევაში, თერთმეტმეტრიანი მას არც უნდა შესრულებინა, არამედ კობიაშვილს უნდა დაერტყა, რომელიც „შალკეს“ პენალტისტად ითვლებოდა.

დაიხ, სამწუხაროდ ითვლებოდა! რადგან პენალტის შესრულება ჩვენებურსაც აკრძალა! მიზეზი ის გახლავთ, რომ ნოემბერში, „ბოხუშთან“ შეხვედრაში კობიამც ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი. ვინ არის დღეს „შალკეს“ პირველი პენალტისტი? სლოპო: „რაფინია ან სიორენო ლარსენი! გააჩნია, თუ ლარსენი მოედანზე იქნება, პენალტის ის დაარტყამს, თუ არა და რაფინია...“ ლარსენს თამაში იშვიათად უწევს ხოლმე, ამიტომ, შეგვიძლია ჩაეთვალოთ, რომ პენალტისტი რაფინია იქნება...

გოტფრიდ ლენცი

მოსალოდნელი ტრანსფერები

კრისტიანო რონალდო 50 მილიონად

ბრაზილიელი რონალდო კი სულ რაღაც ექვსი მილიონი ღირს...

კრისტიანო რონალდო მადრიდის „რეალის“ უპირველეს სამიზნედ გამოცხადდა. ამის შესახებ, ჯერ კიდევ გუშინ გესაუბრებოდით. დღეს კი ახალ დეტალებს გავაცნობთ. ესპანური გრანდის ხელმძღვანელობა სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. რამონ კალდერონმა და პრედრაგ მაიატოვიჩმა კარგად იციან, რომ მანჩესტერულე მათ ინიციატივას ენთუზიაზმით არ შეხვედებიან. ინგლისური კლუბს ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რონალდო ან არ გაასხვისოს, ან მაქსიმალურად დიდ ფასად გაყიდოს. მაიატოვიჩმა გუშინ დაუფარავად განაცხადა, ეს ის შემთხვევაა, როცა აუტციონის დაბალი თანხით დანება დიდი სისულელე იქნება. სამეფო კლუბის ხელისუფლებამ 50 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. გენერალური დირექტორატი იმასაც ითვალისწინებს, რომ ნარმატების გარანტიად ვერც ეს კოლოსალური ფული გამოდგება. სერბი საფეხბურთო ფუნქციონერი იმ გზებს ეძებს, რომელთა წყალობითაც ტრანსფერის გაჩარხვა გაუადვილებს.

თავდაცვით სტრატეგიას გასაღებს მონახავს და ბრიტანელ კოლეგებს რონალდოს გაყიდვაზე დაითანხმებს: „ვიცი, რომ ურთულესი მოლაპარაკებების გამართვა მოგიწევს. არ გამოერიცხავ, თავდაპირველად „იუნაიტედის“ მესვეურებმა ჩვენთან ერთად მაგიდასთან დასხდომაც არ ისურვონ, მაგრამ სამეფო კლუბი უკან არც ერთ შემთხვევაში არ დაიხვეს. თუ საჭირო გახდება, იქამდე ვიბრძოლებთ, მანამ ყველა შესაძლებლობა არ ამოიწურება. ჩვენ 50 მილიონი ევროს გადახდის ვაპირებთ. ისინი ვალდებულები არიან მოგვისმინონ და საკუთარი არგუმენტები წარმოგვიდგინონ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი თავად ფეხბურთელის პოზიციას ენიჭება. რონალდოსთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ მისი მენეჯერისგან შევიტყვე, რომ „რეალის“ დაინტერესებით ძალიან ამაყია. მოკლედ, წინ დიდი და რთული გზა გველის. მთავარია, შრომისუნარიანობა და იმედი არ

დაეკარგოთ. ჩვენი სტრატეგიის დეტალებს საჯაროდ არ გავახმაურებ. ეჭვი არ მეპარება, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ კრისტიანო რონალდო თერთმისურსას მოირგებს.“ მოვლენები მართლაც ამგვარი სცენარით თუ განვითარდება, კრისტიანო რონალდო „რეალის“ რიგით მესამე ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება. შეგახსენებთ, ფლორენტინო პერესმა ზინედინ ზიდანისა და ლუიშ ფიგუს სანაცვლოდ 65 და 55 მილიონი დოლარი გადაიხადა.

თავის დროზე ბრაზილიელი რონალდოც ათეულობით მილიონი ევრო ღირდა, მაგრამ წლებმა ის ძალიან გააიაფა... ესპანურმა სააგენტოებმა „მილანში“ მის გადაბარებასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციები გაავრცელეს. ადრიანო გალიანის მადრიდში ჩასვლა არ გადაუფიქრია. პირიქით, „როსონერის“ ხელმძღვანელი ესპანეთის დელაქალაქს საქმის დასავიკრავი-

ნებლად ეწვევა. იტალიურ და ესპანურ გაზეთებს თუ დაუფურცებთ, მხარებმა შეთანხმებას მიაღწიეს. „მილანი“ სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ ექვს მილიონ ევროს გადაიხდის. აღნიშნულ ინფორმაციას ერნესტო ბრონძეტიც ადასტურებს. ეს ადამიანი პირენეულ ბაზარზე „როსონერის“ წარმომადგენელია და რონალდოს საკითხზე აქტიურად მუშაობდა. მოკლედ, ბრონძეტი მიატოვის ტელეფონით ესაუბრა და ხსენებულ თანხაზე შეუთანხმდა. გალიანის ისლა დარჩენია მადრიდში ჩეკი ჩაიტანოს და საჭირო დოკუმენტებს ხელი მოაწეროს. ამასობაში კი რონალდო უკვე მილანში ჩავიდა და დღეს სამედინო შემომწებას გაივლის, თუ შემომწებამ დადებითი პასუხი აჩვენა, იგი ნაცნობ „სან სიროზე“ გულშემატკივრებსაც შეხვედება. ამჯერად ის ბურთს არა „ინტერის“, არამედ „მილანის“ ტიფოზებისთვის აკენწლის.

ილია ნიკოლაივილი



კრისტიანო რონალდო შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთი უძვირფასესი ფეხბურთელი გახდეს

ახალი კონტრაქტი, ახალი ფული

2007 წლის ზაფხულში ამოქმედდება ახალი სატელევიზიო კონტრაქტი, რომელიც პრემიერლიგამ რამდენიმე სამაუნწყებლო კომპანიასთან გასულ წელს გააფორმა. კონტრაქტი შემოსავლების არნახულ ზრდას გამოიწვევს. შემოსავლების ზრდა კი ავტომატურად აისახება წამყვანი ფეხბურთელების ხელფასებზე. ასე მაგალითად, „მორიორი“ ვარაუდობს, რომ უეინ რუნი მომდევნო 10 სეზონის განმავლობაში მინიმუმ 103 მილიონ გირვანქას გააკეთებს. მაიკლ ოუენი - 96 მილიონს, ფრენკ ლემპარდი-74, ხოლო რიო ფერდინანდი-71 მილიონს. ფეხბურთელთა ამ თაობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ტანჯვის უმდიდრესი ადამიანების სიაში ჩაეწერონ. „მორიორსაც“ გამოანგარიშებით, კარიერის დასრულებიანას რუნი პირადად ეწინააღმდეგება 70 მილიონ გირვანქაზე მეტი იქნება. მას უკვე დღეს უხდებიან ასტონვილსა და მანჩესტერს უმთავრესი წყაროა სარეკლამო კონტრაქტები ექვს კომპანიასთან, რომელსაც მისთვის წლიურად 17 მილიონ გირვანქაზე მეტი მოაქვს.

კლავდიო რინა ნიუ იორკში დაბრუნდა

„მანჩესტერ სიტიმ“ კონტრაქტი გაუწყვიტა ამერიკელ ნახევარმცველ კლავდიო რინას. 33 წლის ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა და ნიუ იორკის „რედ ბულსში“ ჩაირიცხა. რინა „სიტიში“ 2003 წლიდან თამაშობდა. სამწლიანხვედრის წინ „სანდერლენდს“ მის სანაცვლოდ 2.5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. კლავდიო ლონდონელთა მისურით 77 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი შეაგდო. მისი ევროპული კარიერა „ლევერკუზენსა“ და „ვოლფსბურგში“ გატარებულ წლებსაც მოიცავს. რინას ნაკრებში სარეკორდო 112 მატჩი აქვს ჩატარებული. ახალ კლუბში ის ამერიკის ნაკრების ყოფილ თავაკაც ბრუს არენასთან ერთად იმუშავებს. არენა „რედ ბულსის“ მთავარი მწვრთნელია. ის რინას ვირჯინიის უნივერსიტეტის სამოყვარულო გუნდიდან იცნობს (1991-93), სადაც ასევე დამრიგებლის პოსტი ეკავა და ზედიზედ სამჯერ მოიგო ქვეყნის საუნივერსიტეტო ჩემპიონატი.

კრიკი

შედეგები შოინონას, თუშა, ნაკრების მწვერთელი შეისვალა

ავთანდილ შოინონაშვილი მსოფლიო დონის ნაკრებს გვპირდება



კრივის ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი

საქართველოს სამოყვარულო კრივის ფედერაციამ გუშინ გამგეობის სხდომა ჩაატარა. სხდომა ორნაწილიანი იყო - ღია და დახურული. პირველ ნაწილზე, სადაც კრივის ფედერაციამ შარშანდელ შედეგებსა და წლებში გაღწეულ გეგმებზე ისაუბრა, შარშანდელის შედეგებსა და წლებში გაღწეულ გეგმებზე ისაუბრა, შარშანდელის შედეგებსა და წლებში გაღწეულ გეგმებზე ისაუბრა.

თავდაპირველად, სიტყვით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი. მან შარშანდელი წლების საქართველოში მოგვცის და ხაზს გასვა, რომ 2007 წელი წინასალომობითი მაქსიმალურად კარგად მომზადებასა და ლიციენზიების ბრძოლაზე. შარშანდელი ბიუჯეტის გასაშუალოებასა და მაქსიმალურ თანადგომას. კრივის ფედერაციის დახლოებით 2-3 ოლიმპიურ ლიცენზიას გვეძახებს და ნამგალურმა იმედი გამოთქვა, რომ ამ მიზანს წლებში მივაღწევთ.

ამის შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის, დავით ნამგალაურის ჯერ დადგა. შარშანდელი შედეგები ნამგალაურმა მოიხილა და თავის მხრივ, სახელმწიფოსგანაც დაჰპირდა კრივის ფედერაციას წლებში ბიუჯეტის გასაშუალოებასა და მაქსიმალურ თანადგომას. კრივის ფედერაციის დახლოებით 2-3 ოლიმპიურ ლიცენზიას გვეძახებს და ნამგალურმა იმედი გამოთქვა, რომ ამ მიზანს წლებში მივაღწევთ.

ნად ეროვნულ ნაკრებს დაეთმო. გუნდს იქ ნებისმიერ დროს შევხვდებით. უკვე დაიდა ერთი რიგი, მაგრამ უკვე დაიდა ერთი რიგი, მაგრამ უკვე დაიდა ერთი რიგი, მაგრამ უკვე დაიდა ერთი რიგი.

ბოლოს სიტყვა გადაეცა კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცს, რომელმაც დეტალურად განიხილა შარშანდელი შედეგები. ახალკაცმა ხაზი გაუსვა უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე კახა შვანიას შესანიშნავ გამოვლას - აშკარად ოქროს მედალს იმსახურებდა, მაგრამ არაოპტიმალური მსაჯობის გამო, მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა.

ახალკაცმა ასევე აღნიშნა კადეტთა ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედალი (ხალკვაჭაძემ), სადაც ასევე არაოპტიმალური მსაჯობის გამო, კიდევ დაგვიკარგავს მედლები. შარშანდელი წლის გვირგვინი კი მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი იყო, სადაც ვახტანგ ხოსიტაშვილი ჩემპიონი გახდა, მისმა ორმა თანაგუნდელმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ახალკაცის თქმით, ესოდენ მოკლე დროში ამხელა შედეგები მწვერთელია მუხლჩაუხრელმა შრომამ მოიტანა და მათ საჯაროდ მოუხადა მადლობა. შარშან მხოლოდ ახალგაზრდული ნაკრები დარჩენილ წლებში უკეთესად მოიხატა, მაგრამ წლებში კადეტებთან ერთად, ახალგაზრდებიც აუცილებლად იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონატზე.

გენერალური მდივანი ბაზუბის საკითხსაც შეეხო. მან მადლობა გადაუხადა სპორტის დეპარტამენტსა და კრივის ფედერაციის პრეზიდენტს იმისთვის, რასაც ამ ბოლო ხანს ქართული კრივის წინსვლისთვის აკეთებენ. მათი მონდომების შედეგად, უკვე გვაქვს ახალი კრივის დარბაზები გურჯაანსა და გარდაბანში, ხოლო უახლოეს წლებში მაქსიმალურად ბევრ რეგიონს მოვიცავთ.

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადისთვის საშუალოდ, საქართველოს ეროვნული ნაკრები წლებში იასპარეზებს ყველა საჭირო შეჯიბრებაზე და არც შეკრებები მოაკლდება. უკვე მიღებული შეთანხმება იტალიასთან, აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან, რომლებთანაც ჩვენი გუნდი ეროვნული ნაკრების დარბაზში და რუსეთის ნაკრებთან ერთად დავასრულებთ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპელ მოკრივეებს კვოტა ჰქონიათ დაწესებული - სულ 91 ადგილი. აქედან, 47 ლიცენზია გათამაშდება მოსკოვში, ხადაც სალიცენზიოდ შეთხვედინალში უნდა გახვიდეს. გაისად კი დანარჩენი ლიცენზიები საერთაშორისო ტურნირებზე გადანაწილება და პეკინის საგზურებს მხოლოდ ფინალისტები მოიპოვებენ. სხვათა შორის, წინადადება, მსოფლიო ჩემპიონატზე თითოეულ წინაპი 8 ლიცენზიის გათამაშების შესახებ, საქართველოს კრივის ფედერაციას ნამოყვარებია საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე...

ამის შემდეგ, სხდომა დახურულ რეჟიმში გადვიდა და შურნალისტებს დაარბაზის დატოვება მოვგისდა. სხდომის დასრულების შემდეგ კი გავიგეთ, რომ მიუხედავად დამაკმაყოფილებელი შედეგისა, ეროვნული ნაკრების თავიდან დაითი ცერცვაზე გაუთავისუფლებითა. მისი ადგილი დაიკავა ცნობილი სპეციალისტმა, მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკის აღმზრდელმა ავთანდილ შოინონაშვილმა.

ბუნებრივია, ცერცვის გათავისუფლების მოტივით დაინტერესდით. როგორც ვალერი ახალკაცმა და ნაკრები გუნდების უფროსმა თამარ ქართველიშვილმა აღნიშნეს, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. უბრალოდ, ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ რაკილა წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი სეზონი, ეროვნული ნაკრები უფრო ძლიერ და ატორიტეტულ სპეციალისტს ჩააბარონ. დავით ცერცვასთან საინაგამდეგო კი არაფერი გვაქვს და იგი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში დარჩება.


რაც შეეხება სხვა ასაკობრივ ნაკრებებს, იქ არაფერი შეიცვლება. ახალგაზრდულ ნაკრებს ისევ ბეჟან ჭინავა განვრთნის, კადეტებში ტარიელ ვერულაშვილი რჩება, მოსწავლეთა ნაკრებს კი კვლავ რამაზ ნიკოლაძე უთავაყვამებს.

დასასრულ, ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელს, ავთანდილ შოინონაშვილს მოვუხსენოთ: - ვერ ვიტყვი, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ამზე საუბარი ერთი თვის წინ, დაიწყო. ათი დღეა, რაც დაინერა ბრძანება ჩემი მთავარ მწვრთნელად დანიშნვის შესახებ, დღეს კი ეს ოფიციალურად გავფორმდა.

როდესაც ასეთ თანამდებობაზე ინიშნები, ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა და ამისთვის მზად ვარ, ჩემი და საერთოდ, კრივის ფედერაციის მიზანია, რომ კვლავ ჩამოვყალიბოთ ისეთი უმაღლესი, მსოფლიო კლასის გუნდი, როგორც გვყავდა 90-იან წლებში. ბოლო 6 წელია, ცოტა გავვიჭირდა და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ წარმატება - კვლავ უნდა გვყავდეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და ოლიმპიურ ოქროს უნდა ვივიწროთ. ქართულ კრივს ნამდვილად აქვს ამის პოტენციალი. ამისათვის ახლავე უნდა დავიწყოთ მუშაობა და წლებსე უნდა ჩამოვყალიბოთ ის ბირთვი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად იასპარეზებს. პეკინის ოლიმპიადისთვის 2-3 ლიცენზიის მოპოვებას ვევემავთ.

რაც შეეხება ჩემს წინამორბედს, დავით ცერცვაძე საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელია - კარგი იქნება, თუკი ასეთი სპეციალისტი გვერდში ამოვივადგება და ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში მუშაობაზე დავთანხმებ.

კობა ხატისაშვილი



ნაკრები. მარცხნივ ლევან შონია, მარჯვნივ ვეფხია ჭილაია


ნაკრები მარჯვ რაუნდში ლევან შონია ინგლისში მიდის

კინოთეატრ "რუსთაველში" გუშინ გამართა პროფესიონალ მოკრივეთა ორთაბრძოლა. UBO-ს ქამრის საპრეტენდენტო ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი მოკრივეები - **ლევან შონია** და **ვეფხია ჭილაია**. მათ შორის გამარჯვებულს შანსი ეძლეოდა, გააფხულზე ლონდონში წასულიყო და UBO-ს (ევროპის უნივერსალური ორგანიზაცია, იგივე ევროპის კლუბების გაერთიანება) ქამრისთვის ებრძოლა.

ბრძოლა ათრეინგის იყო, "რუსთაველში" კი საკმაოდ ბევრმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. თუკი მაყურებელთა ოცხლების მიხედვით ვიმსჯელებთ, შონიას მეტოქეზე უფრო მეტი კომპაგი ჰყავდა. შეხვედრის ნამყვანი იყო ცნობილი მსახიობი **გივი სიხარულიძე**, რეფერი კი ტრადიციულად, **კოტე ბერძენიშვილი** გახლდათ.

ბრძოლა საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. საწყისი დახვედრის შემდეგ, მეტოქეებმა უკანმოუხედავად შეუტეეს ერთმანეთს და თვალსასერიო ჩხუბი გააჩაღეს. მართალია, ოდნავ უპირატესობას შონია ფლობდა, მაგრამ საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ გამარჯვებული ქულათა რაოდენობას უნდა გამოეგებინა. თუმცა, მერვე რაუნდში, შონიამ მთელი ენერჯია მოიკრება, ჭილაია კუთხესთან მიიმწყვდება და მძლავრი დარტყმების სერიით დაანოკაუტა. შესაბამისად, ბრძოლა შეწყდა, ლევან შონიამ UBO-ს

კობა ხატისაშვილი



სპორტის სასახლას ინვესტორი გამოუჩნდა


როდის დაადგება საშველი თბილისის სპორტის სასახლეს? ეს კითხვა დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და მეტის დახანება აღარ შეიძლება. დედაქალაქის მერიამ გადაწყვიტა, სასწრაფოდ გამოიხაზოს ინვესტორი, რათა აღდგეს და ქვეყნის მთავარმა ქვრევესა სარბიელმა ნორმალურად იფუნქციონროს.

სპორტის სასახლის გადაცემის მოთხოვნით არაერთხელ გამოვიდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი, ბიზნესმენი **ბადრი პატარკაციშვილი**. ინვესტიციის ჩადების სურვილი, როგორც ამბობენ, გამოთქვამს ბიზნესმენ **ბიძინა ივანიშვილსაც**.

ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის მაგალითად ყველას თვალწინ დაინახა თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია კერძო დაინტერესებს. მოთხოვნა აქაც პრინციპულია - სპორტის სასახლეს უნდა შეუნარჩუნდეს ძირითადი ფუნქცია.

"საჭიროა კაპიტალური რემონტი იატაკიდან დანეყვეული თალით დამთავრებულ, ყველაფერი მოსაწესრიგებელი და გასახლებელია. შესაცვლელია კომუნუალური ქსელები, დასამონტაჟებელია კონდიციონერები და გათბობის სისტემები, დასამატებელია გასახლებელი. მოკლე, ყველაფერი მოქმედებული კი არა, მწყობრიდანა გამოსული.", - აცხადებს სპორტის სასახლის დირექტორი, ვეტერანი კალათბურთელი **ვალერი ლომაძე**.

თბილისის მერია ინვესტორს რამდენიმე დღეში დაასახელებს.



ავსტრალიის ღია პირველობა

ზეირობურიული როჯერი

ავსტრალიის ღია პირველობაზე ფინალისტები გამოვლინდნენ. ქალების ბადეში ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ ამერიკელი სერენა უილიამსი და რუსი მარია შარაპოვა...

ნახევარფინალში ფედერერის მეტოქე ამერიკელი ენდი როდიკი იყო, ვისთანაც შევიცარიელმა მატეატრომ ამ სეზონში უკვე მოასწრო წაგება...

როდიკმა ეს სეზონი შესანიშნავად დაიწყო. გუშინდლამდე მას თამაში არ ჰქონდა წაგებული და რაც ყველაზე მთავარია, კარგ ფორმაში იმყოფება...

ასე იყო თუ ისე, ფედერერმა მთელი შეხვედრა უაღრესად მობილიზებულმა ჩაატარა და შავი დღე აყარა ამერიკელს...

ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი გამოგდის. არც კი ვიცი, რით ავხსნა ყოველივე. ეს დაუფერებელია და გარწმუნებოთ, თავადაც გაცემული ვარ იმით, რომ ასე კარგად ვითამაშე...

შევიცარიელმა როდიკის პირველივე სერვის-გეიმი მოიგო, თუმცა მეოთხე გეიმში ამერიკელმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. იმ მომენტში ვერაფერი წარმოიდგენდა, თუ ჩემპიონი შეხვედრას ასე იოლად მოიგებდა...

აქედან მოყოლებული, კორტზე მხოლოდ ფედერერიღა თამაშობდა, ვისაც რეალური წინააღმდეგობა აღარც შეხვედრია. მეორე სეტი ფედერერმა მშრალად, 22 წუთში მოიგო. უფრო მეტიც, მესამე სეტიც ბრეიკით დაიწყო...


ამ შეხვედრის "ცალმხრივობაზე" სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. ის სულ 83 წუთი გაგრძელდა. ფედერერი პრაქტიკულად, წუთში ერთხელ ახერხებდა ქულის აღებას...

ზედიზედ რომ დიდი სლეიმს მემედიე ფინალში გავიდა, ფედერერმა ამით ავსტრალიელი ჯეკ კროუფორდის რეკორდი გაიმეორა. ცნობისთვის, კროუფორდმა ზედიზედ მემედიე სასლეიმო ტურნირის ფინალში 1934 წლის უიმბლდონზე ითამაშა.

შარაპოვამ ნახევარფინალში "ოზი კიმის" (ავსტრალიელი კიმი) მეტსახელით ცნობილი კიმ კლაისტერსი დაამარცხა. თანაც ისე იოლად, გეგონებოდათ, მის წინააღმდეგ ახალბედა ჩოგბურთელი თამაშობსო...

შარაპოვა კი პირველი რუსი ქალი ჩოგბურთელია, ვინც ავსტრალიის ღიას ფინალში ითამაშებს. მოგების მიუხედავად, მან ამჯერადაც უამრავი შეცდომა (33, ათი მეტი, ვიდრე კლაისტერსმა) დაუშვა. სამაგიეროდ, თამაშიდან გაცილებით მეტ ქულას მოუყარა თავი...

რაც შეეხება ფინალში მის მეტოქეს, შარაპოვა ხაზს უსვამს, რომ ტურნირის წინ სერენა მიზნად ჩემპიონობას არ ისახავდა. ამდენად, არც რაიმე აქვს დასაკარგი, რის გამოც ის ლალად ითამაშებს და კიდევ უფრო სახიფათო იქნებაო.



როჯერ ფედერერი

"დიდი სლეიმის ტურნირის ფინალი იოლი არასოდეს ყოფილა. მთავარია, ჩემი თამაში ვითამაშო, დანარჩენს კი ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. ვიცი, რომ თუ თამაში წამივა, მოგების დიდი შანსი მექნება...

ფინალში დასაკარგი რომ არაფერი ექნება, ამას ხაზს სერენა უსვამს. ამ სეზონის დასაწყისში ჩემთვის სარიტინგო პოზიციის გაუმჯობესება იქნება - არაერთხელ უთქვამს. ნიკოლ ვაიდიშოვას, ვისი კერპიც თავადაა, საათსა და 46 წუთში მოუგო და ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი თამაშით...

მათი შეხვედრა იმით დაიწყო, რომ ჩემმა ჩოგბურთელმა სერენას სერვის-გეიმი მოიგო და მომდევნო გეიმის შემდეგ 2:0 დანინაურდა. მაგრამ ამით ამერიკელი გამოადვიდა. სერენამ მალე ანგარიში გაათანაბრა (3:3). გავიდა ცოტა ხანი და ვაიდიშოვამ კიდევ ერთ ბრეიკს მიაღწია (5:4), რის შემდეგაც თავის მონოდეზაზე სეტ პოინტი მიიღო...

ამ საჩუქრის არგამოყენება უილიამსს არ შეეძლო და მან ის დიდსულოვნად მიიღო - ანგარიში გაათანაბრა. ტაბრეიკზე ამერიკელი დანინაურდა (4:1, 5:2), მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, რითაც ჩემს ანგარიშის გათანაბრების შანსი მისცა...

მეორე სეტის დასაწყისი ამერიკელისა იყო - 5:1. აქ ჩემი გამოცოცხლდა, რომელმაც ზედიზედ ორი გეიმი მოიგო. მეცხრე გეიმში, საკუთარ სერვისზე, მან ოთხი მატჩ პოინტი მოიგერია, მაგრამ ზედიზედ მეორე ბრეიკი აღარ გამოუვიდა. სერენამ რომ მეხუთე მატჩ პოინტზე ქულა აიღო, ის ქულა ჩემმა "ქორის თვალის" დახმარებით დაიბრუნა...

მერაბ ლორთქიფანიძე

Table with tennis match results: ქალები 1/4 ფინალი, როჯერ ფედერერი (1) - ენდი როდიკი (6) 6:4, 6:0, 6:2; კაცები 1/4 ფინალი, მარია შარაპოვა (1) - კიმ კლაისტერსი (4) 6:4, 6:2; სერენა უილიამსი - ნიკოლ ვაიდიშოვა (10) 7:6(5), 6:4

ვადოსტრუქცი

დოქინგ-სპანდალი

პაუნდი ლენდისის საქმის გაღვლეებას მოითხოვს

მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (WADA) შეფმა, დეი პაუნდმა საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (AFLD) სპეციალური მითითება გაუგზავნა, რომელშიც ტურ დე ფრანსის ამერიკელ ჩემპიონ ფლოიდ ლენდისის საქმის განხილვის გადაადგმას მოითხოვს.

რებს დაასრულებენ. პაუნდს ფრანგებისგან თანხმობის წერილი მიუღია, თუმცა ამის მიუხედავად, AFLD მაინც განიხილავს ლენდისის საქმეს. ოლონდ, გადაწყვეტილების მიღებას გადაადგებს.

ფრანგები ამ საქმის განხილვას თებერვალში აპირებენ, ამერიკელებს კი იმავე საქმის განხილვა მარტისთვის აქვთ დაგეგმილი. თუ USADA ლენდისს გამართლებს და მის გადაწყვეტილებას WADA-ც დადასტურებს, მაშინ ფრანგებს შეუძლიათ, ლენდისი მაინც დასაჯონ.

პაუნდი ითხოვს, რომ ფრანგებმა ლენდისის საქმე მანამ არ განიხილონ, სანამ აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო (USADA) ამ საქმესთან დაკავშირებით ჩასატარებელ პროცედურებს დაასრულებენ.

Table with tennis player statistics: ქალები, შვიკ-აბ-ზაი (პოლანდია) X ტური, კარიკინი (უკრაინა)-ანანდი (ინდოეთი) 0:1; ჭოპალოვი (სლოვაკეთი)-კარლსენა (ნორვეგია) 1:0; მოტილოვი (რუსეთი)-კრამნიკი (რუსეთი) 0:5:0.5...

პირველი ოქრო გარეანის

შარაპოვამ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი გათამაშა. სპორტულ წყვილებში კონტინენტის ჩემპიონები გერმანელი მოციგურავეები - ალიონა საგენკო და რობინ შოლკოვი გახდნენ...

კეპეას ულგიაფაში ნაუყენა

2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატი შესაძლოა კეპეკ-სიტვიდან კანადის რომელიმე სხვა ქალაქში გადაიტანონ. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კანადის შოკეის ასოციაციამ კეპეკის დედაქალაქს, ნარმოქმნილ ორგანიზაციულ პრობლემებში გასარკვევად ერთკვირიანი ვადა მისცა...

ასოციაციის თავმჯდომარის - ბობ ნიკოლსონის მიერ წარმოდგენილი ულტიმატუმის მიზეზი კეპეკის რამდენიმე ბიზნესმენის უარი გახდა, რომლებმაც ადრე ფინანსური დახმარება აღუთქვეს კეპეკ-სიტის მთავრობას...

პინგვინები პიტსბურგში რეზიან?

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "პიტსბურგ პინგვინსს" თავის ქალაქში დარჩენის შანსი გაუჩნდა. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, პენსილვანიის შტატის გაუბერნატორი ედ რენდელი კლუბის თანამფლობელ რონ ბარკლს შეხვდა და მასთან ის აუცილებელი პირობები განიხილა...

რეინჯერსმა კანსასარაიზისი მოიგორა

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა რუსი მცველი დარიუს კასპარაიტისი. ცნობილმა პოკეისტმა ამ სეზონში 24-ჯერ ითამაშა "რეინჯერსის" შემადგენლობაში, ორი გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგის გაღაცემა შეასრულა.

თუ კანსასარაიტისის შექენა NHL-ის არცერთმა კლუბმა არ ისურვა, მაშინ რუს მცველს ამ სეზონში მეორედ მოუწევს ამერიკის პოკეის ლიგაში (AHL) დაქვეითება და იქ "რეინჯერსის" ფარმ-კლუბში თამაში.

სელსაპიტი დომინიკოვიჩი გააგართლეს

პირველად მთავარი ინვესტორი ვიიაი მალია გახლავთ, რომელიც ავიაკომპანია Kingfisher Airlines-ის პრეზიდენტია. ამ ცოტა ხნის წინათ, ეს კომპანია ფორმულა 1-ის გუნდ "ტოიოტას" სპონსორი გახდა.

რიოსი არ ბრუნდება

როსტონი ადრე ვიტყობინებოდით, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ჩილელმა მარსელო რიოსმა ვინა-დე-ლ-მარის ტურნირის უაილდ-ქარდი მიიღო და დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას სწორედ ამ შეჯიბრზე გეგმავდა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა ცნობით, რიოსმა თამაში გადააფიქრა. მიზეზი მხარის ტრავმა გახლავთ.

ანან-არენი თავისუფალია

ბელგეილმა ჩოგბურთელმა ულსტინ ანან-არდენმა თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გულშემატკივრებისადმი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც ის ოფიციალურად ადასტურებს თავის მუდღელსთან - პიერ-ივ არდენთან გაყრას. WTA-ს კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა ურნალისტებსა და ფანებს სთხოვა, წუ იჩქარებენ და წუ შეაჩუხებენ მას ამ გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ შეკითხვებით.



ყველა ვარსკვლავის მატჩი

შარსხვანილი ვუნდერკინდები

გეგერმა საკიკმა მარკ მესიუს რაკორდი დააგმო



1 გოლისა და 4 პასის სანაცვლოდ, ბრიერმა ჯიბი მიიღო

დასავლეთი-აღმოსავლეთი 12:9

გოლები: 0:1 ბრიერი (პიტლი, მარიან ჰოსა), 1:1 პერი (როლსტონი, გერინი), 1:2 სელიანე, 2:2 სენტ ლუისი (ლეკავალიე, რაფალსკი), 2:3 ე. სტალი (ვასტინ უილიამსი, ჯ. ბლეიკი), 3:3 ვინოვსკი (საკიკი, ნემი), 4:3 მარლო (ჩირუ, ლიდსტრომი), 4:4 ჯასტინ უილიამსი (ჯ. ბლეიკი), 4:5 ხარა (ბრიერი, რაფალსკი), 5:5 როლსტონი, 6:5 ნემი (საკიკი, ფანოვი), 7:5 პავლატი (საკიკი, ნემი), 8:5 პერი (გერინი, როლსტონი), 8:6 ოუენი (ბრიერი, სურეი), 9:6 როლსტონი (ფოვანოვსკი), 9:7 პიტლი (ბრიერი, მარიან ჰოსა), 10:7 ნემი (საკიკი, პავლატი), 10:8 ხარა (მარიან ჰოსა, ბრიერი), 11:8 პავლატი (რ. სმიტი, ფოვანოვსკი), 11:9 სურეი (მარიან ჰოსა, პიტლი), 12:9 ფანოვი (ვინოვსკი).

2007 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩი", კანადური ჰოკეის ახალ მესიად შერაცხული სიდი კროსის სრული ფიასკოთი დასრულდა. მეზვედრაში, რომელშიც 21 გოლი გავიდა, ნლევენდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ერთი საგოლე პასის შესრულებაც ვერ შეძლო.

ბერს ელოდნენ "ვაშინგტონის" რუსი ფუნდერკინდისგან - ალექსანდრ ოუენისგან, მაგრამ ვასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა მხოლოდ ერთი გოლით გამოიჩინა თავი.

კროსი და ოუენი აღმოსავლეთის ნაკრების სასტარტო ხუთეულში თამაშობდნენ. შეტევაში მათი პარტნიორი "ბაფალო სეიზის" ფორვარდი დანელ ბრიერი იყო, რომელმაც საბოლოოდ, მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის (MVP) პრიზი მიიღო. ბრიერმა ერთი გოლი გაიტანა და ოთხი შედეგიანი პასი შეასრულა.

ნელს, ბრიერი "ბაფალოს" საუკეთესო ბომბარდირია - მის ანგარიშზე 57 ქულაა (18 გოლი+39 პასი). სხვათა შორის, ზედინედ მეორედ მოხდა, როცა MVP ნაგებული გუნდის შემადგენლობიდან აირჩიეს. 2004 წელს, საუკეთესო მოთამაშის ტიტული ჯო საკიკმა მიიღო. მართალია, მისმა დასავლეთმა 4:6 წააგო აღმოსავლეთთან, მაგრამ თავად ჰოკეისტმა პეთ-ორიკის შესრულება შეძლო.

ბრიერის გარდა, MVP-ის მოპოვების მანის დასავლეთის ნაკრების რამდენიმე ჰოკეისტს ჰქონდა. "კოლამბუსის" ფორვარდმა რიკ ნემმა ორი გოლი და ორი პასი ჩაინერა აქტივში, რიკაგოელმა მარტინ პავლატამ - ორი გოლი და ერთი პასი. "ფინიქსის" ნეერ-მა იანიკ პერომ დუბლი შეასრულა, ხოლო იმვე საკიკმა, ოთხი საგოლე პასი მიითვალა.

იმის გამო, რომ 2005 და 2006 წლებში All Star-ის მატჩი არ გა-მართულა, ნლევენდელ მეზვედრაში 20 დებიუტანტი თამაშობდა, მაგრამ დალასში, პირველ პლანზე მაინც ვეტერანი ჰოკეისტები

იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს "კოლორადოს" ვარსკვლავ ჯო საკიკზე ითქმის.

საკიკი მეორემეტედ თამაშობდა "ყველა ვარსკვლავის მატჩ-ში" და გუშინ, მან ერთი რეკორდის დამყარება შეძლო. ჯომ ოთხი საგოლე პასი შეასრულა და ახლა, All Star-ის მატჩებში ყველაზე მეტი - 16 შედეგიანი გადაცემის ავტორია. წინა რეკორდსმენი ლე-გენდარული მარკ მესიე იყო, რომელსაც 14 პასი ჰქონდა აქტივში.

გარდა ამისა, კოლორადოს" ფორვარდი All Star-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზე გადავიდა. მის წინ მხოლოდ უეინ გრეტცი (25 ქულა) და მარო ლემეი (23) არიან. თავად საკიკს, 22 ქულა აქვს დაგროვილი.

გუმინდელი მატჩის ბედი მეორე პერიოდში გადაწყდა, როცა აღმოსავლეთის კარს, ნლევენდელი რეგულარულის საუკეთესო მეკარე მარტინ ბროდო იცავდა. "ნიუ ჯერსის" კარის დარაჯმა ოთხნუთნახევრიან ინტერვალში ოთხი შიბა გაუშვა, 16-დან 10 დარტყმა მოიგერია, დასავლეთმა კი, პერიოდი 6:3 მოიგო და მე-ტოქემ ამ გუნდის დანევა ვეღარ შეძლო.

Table with columns: წელი, დასავლეთი-აღმოსავლეთი, პირი (გაგ), MVP. Lists All Stars game results from 1987 to 2007.

სხვადასხვა

როგორღა შარაპოვა მამის გამო დასაჯა

ავსტრალიის ლია პირველად დააჯიჯა. როგორც გარდაცხადებული მამის გამო, რომელიც 2550 დოლარით დააჯიჯა. როგორც გარდაცხადებული მამის გამო, რომელიც 2550 დოლარით დააჯიჯა.

იმ შემხედრის მოთვარმა მსაჯმა, პორტუგალიელმა მარიანა ალევამა მეორე სეტში შარაპოვას ოფიციალური გაფრთხილება მისცა იმის გამო, რომ ოური შარაპოვი მას რაღაცას ანიშნებდა. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა ანგარიში იყო 3:3 და 0:30 მარიას მოწოდებაზე. თავად ჩოგბურთელმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის ტრიბუნებისკენ საერთოდ არ იხედებოდა, ხოლო მამის საქციელს აბსურდულად გასაგები უწოდა, რადგან ის არა უცხო ადამიანს, არამედ საკუთარ შვილს გულმემატიკეობდა.

Table with columns: ჩემპიონი, II აჯაფი, I აჯაფი, II აჯაფი. Lists tennis players and their records.

TV სპორტი

26 იანვარი, პარასკევი

SPORT 1 (საკიკა) 08:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტკო-ოსასუნა. 10:00 სპორტინფორმი. 10:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა. 10:40 ფიტნესი. 11:05 სპორტინფორმი. 11:15 სპორტკლუბი. 11:20 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1973 წელი. ფინალი. სანდერლენდ-ლიდსი. 13:05 ჰოკეი. ALL STAR-ის უეჩ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი. 15:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ავსტრალია. 17:05 სპორტ-დოსი 17:32 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბასკი. 19:19 კრიკი. ნოკაუტების დრო. 20:08 სპორტკლუბი. 20:30 სპორტინფორმი. 20:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა. 21:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა. 22:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა. 21:40 სპორტკლუბი. 21:45 სპორტინფორმი. 23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ. 23:23 სპორტკლუბი. 23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდ-ბაიერნი (LIVE). 01:23 სპორტინფორმი. 01:35 კრიკი. რინგ-საიდი. 02:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა. 03:32 სპორტ-დოსი 04:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ბაფალო (LIVE). 06:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ავსტრალია.

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ლია პირველად დააჯიჯა. 1/2 ფინალი (LIVE). 14:15 ფეხბურთი სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE). 20:00 ტრამპლინინგ დნ ხტობა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია. 21:00 ფეხბურთი სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE). 00:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24. 01:00 ექსტრემალური სპორტი. 02:30 ბოულინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი.

EUROSPORT-2 08:30 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჯოუ. ჩინეთი (LIVE). 10:30 ახალი ამბები. 11:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-გერმანია. გუანგჯოუ. ჩინეთი (LIVE). 13:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჯოუ. ჩინეთი. 14:00 ახალი ამბები. 16:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჯოუ. ჩინეთი. 17:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-გერმანია. გუანგჯოუ. ჩინეთი. 18:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ტურინი. იტალია (LIVE). 20:30 ექსტრემალური სპორტი. 21:00 ფრისბილი. მსოფლიო თასი. მონტგაბრიელი. კანადა. 21:30 ახალი ამბები. 22:00 კალათბურთი. ევროლიგა. 22:30 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. 1/2 ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE). 01:00 ახალი ამბები. 01:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა. 01:45 კალათბურთი. ევროლიგა. 02:15 ახალი ამბები.

კალათბურთი


NBA. რეგულარული ჩემპიონატი

Table with columns: ინიანა-აიაიი, ინიანა-აიაიი, ს. ანაონი-აიაიი, გოსონი-აიაიი, კლიან-აიაიი. Lists basketball games and scores.

Table with columns: შორიან-ოკლანდი, ინიანა-აიაიი, პორიან-ოკლანდი, პორიან-ოკლანდი, პორიან-ოკლანდი. Lists basketball games and scores.

სხილი ხუზი

Table with columns: უხუბური, ინიანა-აიაიი, ინიანა-აიაიი, ინიანა-აიაიი, ინიანა-აიაიი. Lists various sports events and scores.



შავ-თეთრი როდნიანან მუზიკარ ელენეადა

ბენიალურად ნახსოვ პოლეროზა გავლით

დავით ბუზრიკიძე

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ფიგურული სრილის შესახებ, შავ-თეთრი ტელევიზორით გადმოცემულ ევროპის ჩემპიონატს უკავშირდება. 1969 წლის დეკემბერში მამამემა როგორც იქნა "ბერიოზკა" იყიდა, უფრო მოახლოებული მექსიკური საფეხბურთო ჩემპიონატის ზრახვებით. სახლის სახურავზე დიდი ტანჯვის შემდეგ დაყენებული ანტენა და ზამთრისათვის ზედგამოჭრილი გვარის მქონე მოციგურავის გამოჩენა ერთი იყო - ავსტრიელი ბეატრის შუბა, განსაკუთრებით მოწესრიგებული, რკინის ნერვების მქონე და კლასიკურობამდე სრულყოფილი, 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონი. თუმცა უფრო ცხადად იმ დროიდან სონია მორგენშტერნი, ყუფა ალმაში, ონდრი ნებალა, ემერიკ დანცერი და პახომოვა-გორშკოვი დამამახსოვრდა.

ჩემი ნებალა 1972 წელს საპროტონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ლოგიკურია, რომ საბჭოთა მოციგურავეს სერგეი ჩეტვერუხინს მასთან არა მარტო სპორტული, არამედ იდეოლოგიურ დუელიც ჰქონდა გამართული (ამ ფონზე ალბათ, არც ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა პოკეისტთა ნაკრების ორთაბრძოლის დაგინება შეიძლება, რომელიც 1968 წელს გრენობლის ზამთრის ოლიმპიადაზე პოლიტიკური სკანდალით დამთავრდა). სხვათა შორის, მაშინ საპროტონის ოლიმპიადაზე ორი ქართველი გამოდიოდა - "მფრინავი მოთხილამურე" კობა ნაქაძე და მოსკოვში მცხოვრები მოციგურავე მარინა სანაია, რომელიც სტაბილურად ბოლო ხუთეულში ხვდებოდა. გასაგებია, რომ მაშინ ქალთა შორის ავსტრიელები და გერმანელები ყოჩაღობდნენ.


70-80 წლები, ანუ ბრეჟნევის ეპოქა სწორედ ფიგურული სრილის ტოტალური იდეოლოგიით იყო დაღდასმული. მაშინ არ არსებობდა ლათინურ-ამერიკული სერილები და არც ჩემპიონთა ლიგის თამაშებს გადმოსცემდნენ. სამაგიეროდ, არსებობდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ფიგურულ სრილში, რომელსაც "ევროვიზია" პირდაპირი ეთერით აჩვენებდა წარმატებების მომლოდინე საბჭოთა გულშემატკივარს. კომენტარების გულისამრევი პატრიოტიზმი და ვთქვათ, ცნობილი მწვრთნელის სტანისლავ ყუკის ქება-დიდება (რომელსაც მოგვიანებით პედოფილიაში დასდეს ბრალი) ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც საალერსო-პოზიტიური რეპორტაჟები კუბის შესახებ, ირანის საეთერო-პოლიტიკური მხარდაჭერა, ან პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, იასირ არაფატის ნაქებება ისრაელის წინააღმდეგ.

ფიგურული სრილი რეიტინგით "ვრემიას", "ვიმირე ფიგოტინის" და "მუზიკალი კოსკს" ათი თავით აღემატებოდა, ოლიმპიურ ჩემპიონებს კი ლამის ნაციონალურ გმირებად წარმოსახავდნენ. გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების, ლუდმილა ბელოუსოვასა და ალექსეი პროტოპოპოვის ფაქ-

ტობრივი გაქცევა იყო შვეიცარიაში, რომელიც კავებდნენ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოინელა. სპორტულ კომენტატორებს მათ შესახებ საუბარი საერთოდ აუკრძალეს.

პახომოვა-გორშკოვისა და ლინიჩუკ-კარპანოსოვის ლიდერობის შემდეგ, ბრიტანული დუეტის - ჯეინ ტორეილისა და ქრისტოფერ დინის შემოჭრა საბჭოთა "სივრცეში", სპორტულ ცეკვებში, რუსებმა დღემდე ვერ მოინელეს. 1980 წლიდან მოყოლებული ამ გენიალური დუეტის ყოველი გამოსვლა სრულყოფილების ნიმუშად ითვლება, ხოლო მათი კომპოზიცია "ბოლიერო" სარაევოს ოლიმპიადაზე, დღემდე მიუღწევლ მწვერვალად რჩება სპორტულ ცეკვებში. თუმცა 90-იან წლებში ლიდერობა ისევ რუსებმა იკადას.

გარკვეულ რევოლუციად შეიძლება მივიჩნიოთ კანადელი ფიგურისტის ტო-




ფიგურული სრილის საყურებლად მეზობლები ერთად იკრიბებოდნენ და არა მარტო იმიტომ, რომ ტელევიზორი იშვიათობას წარმოადგენდა. დანვრლებით არჩევდნენ, ვის რა ფერის კაბა და ნივთები ეცვა (ტელევიზორები ვერ კიდევ შავ-თეთრი იყო), სირცხვილია თუ არა მოკლე კაბით გამოსვლა (ალბათ საინტერესოა მხოლოდ გრძელი კაბებით ფიგურული სრილიც), ან წყვილთა შორის გამოსვლა ნიშნავდა თუ არა აუცილებელ ინტიმურობას. მოციგურავე-ვარსკვლავთა პოპულარობა იმ დროს გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ფეხბურთელების ან ჩოგბურთელების. თუმცა 90-იან წლებში, ელცინის დროს, რუსეთში ვარსკვლავებად უკვე ჩოგბურთელები იქცნენ. მაგრამ ეს სხვა ოპერის არიაა...

ქართულ მოციგურავეთა მოკრძალებული წარმატებები 70-80-იან წლებში რამდენიმე წინადადებით შეიძლება შემოიფარგლოს - მარინა გაბელაია და მარინა ცერცვაძე 70-იან წლებში და მოგვიანებით, გიზო ბლიაძე, ონისე რუხაძე და ანდრეი ტორეოსიანი. ესენი წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებზე, განსაკუთრებით მოზარდთა და ახალგაზრდებს შორის. როცა ქვეყანაში წარმატებული საციგურაო მოედანი არ არსებობს, ეს მაინც რაღაცას ნიშნავს. ამ წარმატებას კონკრეტული ადრესატი ჰყავდა და ჰყავს - ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე ირაკლი ჯაფარიძე. ვახტანგ მურვანიძისა და განსაკუთრებით, ელენე გედევანიშვილის წარმატებები სწორედ მის სახელს უკავშირდება.

16 წლის ელენე გედევანიშვილის დიდი პოპულარობა საქართველოში ბოლო წლებში მისმა წარმატებებმა განაპირობა. მეხუთე ადგილი გასულ წელს, ლიონში ევროპის ჩემპიონატზე და მეათე ადგილი ტორინის ზამთრის ოლიმპიადაზე, ცხადია უდიდესი წარმატებაა. როგორც ჩანს, მისმა მწვრთნელმა და სეხნიამ, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა ელენა ვოდორეზოვამ ტყუილად არ მოჰკიდა ხელი "მშვენიერი ელენეს" სპორტულ აღზრდას. და რომ არა ანტიქართული ისტერია მოსკოვში, ქართველი სპორტსმენის ოჯახის დეპორტაცია მოსკოვიდან, მას უთუოდ წელსვე ექნებოდა მანსი, ვარშავის ევროპის ჩემპიონატზე პრიზიორთა შორის მოხვედრილიყო.

ფაქტობრივად, ახალი სპორტული სეზონის გაცდენისა და ახალი მწვრთნელის ძიების შემდეგ, ქართველი სპორტსმენისათვის ათეულში მოხვედრა შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს. თუმცა ბევრად უკეთესი იქნება თუ გედევანიშვილი ამ პესიმიტურ პროგნოზს შემართებით, მიზანდასახულობითა და რაც მთავარია, სპორტული შედეგით გააბათილებს. მიუთუმეტეს, რომ ვარშავაში მისი მეტოქეები გასული წლების ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები: ელენე სოკოლოვა (რუსეთი), კაროლინა კოსტნერი (იტალია), სარა მაიერი (შვეიცარია) იქნებიან. დღეს, მოკლე პროგრამაში ელენე გედევანიშვილს ბევრი ურთულესი ელემენტის შესრულება მოუწევს - სავალდებულო სამმაგი "ფლიპითა" და "რიტბერგერი" დაწყებული, სხვადასხვა ტემპო-რიტმით შესრულებული პირუტებითა და ბრუნვით დამთავრებული...



ლერ კრენსტონის დახვეწილი, არტისტული კომპოზიციები 70-იანი წლების ბოლოს და ასევე კანადელ ბრაიან ბოიტანოს ასევე კანადელ ურთულესი პროგრამები 80-იან წლებში. და რა თქმა უნდა, ამერიკელ მოციგურავეთა ბრწყინვალე სპორტული დუეტი ტაი ბაბლონი და რენდი გარდნერი. ამ უკანასკნელებმა ლეიკ-პლეისიდის 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ლამის ოქრო წაართვეს როდინა-ზაიცევის დუეტს. მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ინდიელი ტაი ბაბლონი შეუძლოდ გახდა და თავისუფალი პროგრამა ამერიკელებმა არ შესარულეს. არადა, იოლი შესაძლებელია, სენსაცია მომხდარიყო.

მაშინ აქ ყვეთელი პრესა არ არსებობდა და არც არავინ იცოდა, მაგალითად, რატომ დაშორდა ირინა როდინა ოლიპიურ ჩემპიონს, ალექსანდრე ულანოვს და რატომ დაუკავშირა კარიერა და ცხოვრება ალექსანდრე ზაიცევს. ან რატომ მეგობრობდა ინსბრუკის 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯონ კარი მხოლოდ ბიჭებთან. სხვათა შორის, ის შიდასთ გარდაიცვალა.

დირექტორი
პაატა ბალაშვილი
რედაქტორი
მამუკა ჩინლაძე
გინ თვალდაზრდა
პირდაპირი სპორტი
ნიკოლოზ ნაზარია
პაატა თოთაძე
მედიკალი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანაშვილი
გინ ტუსაშვილი
ირაკლი თაყაი
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ანისა ჯანაშვილი
უცხოური სპორტი
შალვა გიგინეიშვილი
გოგა ხალაძე
გოგიაშვილი
ილია ნიკოლაიშვილი
მარია ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინია
ზურაბ თვალაშვილი
რედაქტორი
დავით კოხჩიაძე, ვასილ
ბალაშვილი, მარია ბრატიაძე,
მამუკა ქანთარია,
ირაკლი ლორთქიფანიძე,
ნიკოლოზ ნაზარია
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
შეზარ სპარიაძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაფარიძე
ტექნიკური რედაქტორი
გინანა პიტიუვა, გინანა
ილიაბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით ბაბაძე,
დავით შალვაშვილი,
კობა ბალაშვილი
სპორტული
ლევან სოფიაშვილი
ლევან გიგინეიშვილი
გამრკვეპის სამსახური და
ფინანსური რედაქტორი
დავით მისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვახაშიძე,
ქათამაძე დიდაშვილი
გარეკანის სამსახური
თამარ ფიშინიანი (ტ: 46 34 48)
ბაპარ ბაჩყალიძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ბაბაშვილი

პირველი ნომერი გამოვიდა
1934 წლის 13 აპრილს
თბილისში, სახელით
"საქართველოს
ფიზკულტურელი".
1936-39 წლებში ერქვა
"ფიზკულტურელი",
"ლელომდე" დაიბეჭდა
362 ნომერი. 1949 წლის
10 ივლისს გაზეთი აღადგინა
მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა
გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.
ლელო მთავარი რედაქტორი:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერაშო მანათაძე (1952-53)
ირაკლი შალვაშვილი (1953-64)
ანსორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგიაშვილი (1984)
თამარ ბაჩყალიძე (1984-დან)

დავით ბუზრიკიძე: შპს ბაჩყალიძე
ლელო, შპს სპორტთან
პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98,
46 30 56, 46 32 62, 98 23 94,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახაბაძის 10,
0159 თბილისი
(ლილო, ახ. ქმნისტიანი,
პირდაპირი სპორტი);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sport@sport.ge;
gazet_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოქვეყნდა
გარდა კვირისა